საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2015 წლის 8 დეკემბრის

დადგენილება №1845

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის
დასაკავებლად გამოცხადებულ არჩევნებთან დაკავშირებით

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ დებულების“ საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის/ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატის სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა №1 და №2 დანართების შესაბამისად;
2. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის/ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატის მიერ წარმოსადგენი განცხადების ფორმა №3 და №4 დანართების შესაბამისად;
3. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის/ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსში მონაწილე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი საჩივრების სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა №5 და №6 დანართების შესაბამისად;
4. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის/ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსში მონაწილე დამკვირვებელთა/მასმედიის წარმომადგენელთა სარეგისტრაციო ჟურნალის ფორმა №7 და №8 დანართების შესაბამისად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე